შპს „სტუდიო 8”

ქ. თბილისი, ბიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №37

(ს/კ: 01.10.06.022.017)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შეადგინა ა. ლომსაძე

თბილისი 2024

სარჩევი

1. საერთო ნაწილი
2. განმარტებითი ბარათი
3. სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა
4. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები: I რიგის სამუშაოები
5. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები: II რიგის სამუშაოები
6. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.
7. მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება მობილიური ამწის მუშაობის პერიოდში
8. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები
9. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა
10. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები
11. მშენებლობის წარმოების კალენდარული გრაფიკი ცალკეული ეტაპების მიხედვით
12. სამშენებლო გენგეგმა

1. საერთო ნაწილი

მშენებლობის ორგანიზების პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო დავალება დაპროექტებაზე;

- არქიტექტურულ-კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია;

- საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მონაცემები;

- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;

- მოთხოვნილებები მოპ-ის შედგენაზე თანახმად მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მარტის დადგენილება #255, მუხლი 18 ,,მშენებლობის ორგანიზების პროექტი'' და მუხლი 20 ,,მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგითობა და ეტაპები''.

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის #361 დადგენილებით გათვალისწინებული ტექნიკური რეგლამენტი მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ;

- ამავე დროს მუნიციპალიტეტის არქიტექტორის სამსახური ავალდებულებს დამკვეთს სამშენებლო სამუშაოთა დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სხვა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი მშენებლობის ორგანიზაციის პროექტიც.

2. განმარტებითი ბარათი

მშენებლობის ორგანიზების პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა #45-ში (ს/კ: 01.10.06.022.017) მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის მშენებლობის დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით.

ნაკვეთის ფართობი საკადასტრო გეგმის მიხედვით შეადგენს 6116 კვ.მ-ს. მას გაანია რთული ფორმა. ნაკვეთი ხასიათდება რელიეფურობით ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით და დონეთა სხვაობა 2-3 მეტრის ფარგლებში მერყეობს. 0,00 შეესაბამება 478,35 ნიშნულს.

სამშენებლო მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და გამწვანების პროექტით გათვალისწინებული ხე-ნარგავების განაშენიანება.

საპროექტო ნაკვეთი სრულად თავისუფალია არსებული შენობებისგან. მწვანე ნარგავებიდან ნაკვეთზე ფიქსირდება 5 ძირი ხე, რომელთაგან 4 შენარჩუნდება ადგილზე, ხოლო ერთი კი, მოიჭრება.

ნაკვეთს სამხრეთიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცეები, ხოლო დანარჩენი მხრიდან კერძო მიწის ნაკვეთები.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნით საკვლევი უბნის და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლამ დაადგინა, რომ საშიში გეოლოგიური პროცესების კვალი არ აღინიშნება, უბანი მდგრადია და საპროექტო შენობის შენებლობისათვის დამაკმაყოფილებელ პირობებში იმყოფება.

საპროექტო შენობის ფუნქციურმა დანიშნულებამ, რელიეფმა და არეალში არსებულმა შენობებმა განაპირობა შენობის გაბარიტები და სართულიანობა, რაც ასევე განსაზღვრული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმის რეგლამენტით.

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა გაბარიტული ზომებით 95,30X32,40 მ. მას გააჩნია ერთი მიწისქვეშა და ცამეტი მიწისზედა სართული. მიწისზედა ნაწილის გაბარიტული ზომებია 68,46X20,66მ.

შენობა კონსტრუქციულად წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის კარკასის შენობას, რომელიც დაფუძნებულია კომბინირებულ საძირკველზე (ხიმინჯი და ფილა). სახურავი არის ბრტყელი. კედლების შემავსებლად გამოყენებულია ბეტონის ბლოკი და ფასადის მხრიდან დათბუნებულია მინერალური ბამბით.

საპროექტო შენობის ძირითადი ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებია:

მიწის ნაკვეთის ფართობი: 6116 კვ.მ

განაშენიანების ფართობი: 23775,7 კვ.მ

საერთო ფართობი: 18903,4 კვ.მ

სამშენებლო მოცულობა: 68400 კუბ.მ

შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე: 53.4 მ

მშენებლობის ხანგრძლივობის გაანგარიშების საფუძველზე, ასევე მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის პირობებისა და სამშენებლო ფირმის მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით მშენებლობის განხორციელების გეგმიური ხანგძლივობა განსაზღვრულია **38 თვით**, რომლის რიგითობა და ეტაპები ასახულია წარმოდგენილ კალენდარულ გრაფიკში. თავდაპირველად განხორციელდება შენობის ძირითადი ნაწილის მშენებლობა ("4-17" და "„ა-თ" ღერძებში), ხოლო მშენებლობის მეცხრე ეტაპზე იწარმოებს შენობის "1-3" - "თ-ა" ღერძებში მოქცეული

(მიწისქვეშა) ნაწილის და ცალკე მდგომი მიწისქვეშა სატუმბი სადგურის ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები.

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა

მოსამზადებელი სამუშაოები წარმოადგენს მშენებლობის წარმოების პირველ ეტაპს, რომელიც უნდა დაიწყოს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ და მოიცავს სამშენებლო მოედნის მოწესრიგებას, შესანარჩუნებელი და გადასარგავი მწვანე ნარგავების დაცვას, სამშენებლო ღობის მოწყობას, დროებითი კომუნიკაციების დაერთებას.

4. I რიგის სამუშაოები

(მშენებლობის განხრციელების მოსამზადებელი სამუშაოები)

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაოები (სამშენებლო მიოედნის მოწესრიგება, სამშენებლო ნაგვის გატანა მწვანე ნარგავების დაცვა)

უნდა მოხდეს სამშენებლო მოედნის დროებითი ღობით შემოსაზღვრა ლითონის ფურცელის, ხის, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით. ქუჩის მხრიდან ფეხმავალთა უსაფრთხოების მიზნით დროებით სამშენებლო ღობეზე მოეწყოს ე.წ. ქოლგა. უნდ განხორციელდეს სამშენებლო მოედნის საინჟინრო ქსელებით ელ. ენერგიით და წყლით მომარაგება. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს დროებითი შენობა ნაგებობების მოწყობა, რომელიც უნდა განთავსდეს უსაფრთხო ზონაში. უნდა გამოიყოს ადგილები ღია საწყობებისთვის. მშენებლობის პერიოდში სამშენებლო ტექნიკის მძრაობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სატრანსპორტო სქემების მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია მერიის და პოლისიის შესაბამის დეპარტამენტებთან.

I რიგის სამუშაოები

II ეტაპი - შენობა ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება.

მოსამზადებელი სამუშაოებს დასრულების შემდეგ ხდება შენობის ღერძების დაკვალვა ტერიტორიაზე. ასევე ამ ეტაპზე ხდება შენობის ვერტიაკლური სიმაღლის მიბმა.

5. II რიგის სამუშაოები

(შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები)

III ეტაპი: შენობა ნაგებობის მიწის სამუშაოები

სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლო. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლების მოწყობა უნდა განხორციელდეს. სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად. მიწის მოჭრის პარალელურად უნდა განხორციელდეს მიწის ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ობიექტიდან.

IV ეტაპი: შენობა ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოები

ფუძის მოწყობა უნდა განხორციელდეს გეოლოგიური კვლევების და კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად, ამასთანავე საჭიროა მკაცრი გეოდეზიური კონტროლი. მოჭრილი/ამოღებული მიწა გატანილ უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან, აევე შესაძლებელია მისი ტერიტორიაზე დასაწყობება უკუჩაყრისათვის.

V ეტაპი: შენობა ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები ("4-17" და "ა-თ" ღერძებში)

ფუძის მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ, საძირკვლის მოწყობის წინ ქვაბულებში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა. საძირკვლის ქვაბულების მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილი - მდინარის ბალასტის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი. მისი დატკეპნის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა სისქით 10 სმ. და მონოლითური რკინაბეტონის საძირკველი.

VI ეტაპი: ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე ("4-17" და "ა-თ" ღერძებში)

„13-4“ ღერძებში უნდა მოეწყოს მონოლითური რკინაბეტონის კედელი (გარე პერიმეტრზე დამცავი ჰიდროიზოლაციით+ჰიდროიიზოლაციის დამცავი ფენილით) ასევე დაბეტონდეს სვეტები. რკინაბეტონის კედლის და სვეტების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს

კოჭების და იატაკის ფილის მოწყობა. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები. ბეტონის გაშრობა-გამყარების შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის და შემოტანილი ბალასტის უკუჩაყრა ქვაბულის ფერდობსა და კედელს შორის და მისი ფენობრივად დატკეპვნა.

VII ეტაპი: 5,600 ნიშნულზე ფილის მოწყობა; 12,20 ნიშნულზე ფილის მოწყობა; 18,80 ნიშნულზე ფილის მოწყობა; 25,40 ნიშნულზე ფილის მოწყობა; 32,00 ნიშნულზე ფილის მოწყობა; 38,60 ნიშნულზე ფილის მოწყობა ("4-13" და "დ-ზ" ღერძებში)

საძირკვლის ფილის და კედლების ჩასხმის შემდეგ თანმიმდევრობით უნდა მოეწყოს +5.600 დან +38,60 ნიშნულის ფილები კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად.

VIII ეტაპი: შენობა-ნაგებობის გადახურვისა და სახურავის მოწყობა; არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა; შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი; შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ("4-13" და "დ-ზ" ღერძებში)

მეშვიდე ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდგომ უნდა განხორციელდეს გადახურვის ფილის და სახურავის მოწყობა, ლიფტის სამანქანოს და კიბის ნაკვეთურების გადახურვა. ვინაიდან შენობას აქვს ბრტყელი სახურავი, უნდა მოეწყოს შესაბამისი დამათბუნებელი ფენა და ჰიდროიზოლაცია იმის შემდეგ რაც მოხდება კარკასის გამოშრობა. ამავდროულად განხორციელდება შენობის არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ასევე შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა. კარკასის მშენებლობის პერიოდში პარალელურად შესაძლებელია მოხდეს არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა. გარე და შიდა კედლების, კარფანჯრების მონტაჟი და შემდეგ სარემონტო სამუშაოების დაწყება. არამზიდი კონსტრუქცების მოწყობის პარალელურად უნდა დაიწყოს საინჟინრო ქსელების მონტაჟი და მათი დაერთება ტერიტორიაზე არსებულ ქსელებზე. შენობაში გათვალისწინებულია ლიფტების მონტაჟი. ლიფტების მოდელის შერჩევის და მონტაჟის პერიოდში გათვალისწინებული უნდა იქნას შესაბამისობა მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან და სახანძრო მოთხოვნებთან. ფასადის მოპირკეთება უნდა შესრულდეს არქიტეტურული პროექტის მიხედვით, სახარაჩო სისტემის გამოყენებით. ფასადის მოპირკეთების შემდეგ მოხდება წყალშემკრები მილების და პროექტით გათვალისწინებული დეტალების მონტაჟი.

სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან და პერიოდულად სხვადასხვა კონსტრუქციის დაბეტონების დროს შედგეს დაფარული სამუშაოების აქტები შესაბამისი კომპეტენტური ზედამხედველობისა და მშენებლობზე სამუშაოთა მწარმოებლის ხელმოწერით, ასევე დასურათებული ფოტოფიქსაციით.
მშენებლობის პერიოდში რეკომენდებულია იხელმძღვანელოთ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილებით #57, მუხლი 61-ის ,,ზ''- პუნქტით, რომელიც

ითვალისწინებს დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალს, რომელიც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს. მათი კვალიფიცირებულ დონეზე შედგენა აუცილებელია სტანდარტული ბლანკების შევსების დროს.

IX ეტაპი: შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები ("1-3" - "თ-ა" ღერძებში). შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები ("1-3" - "თ-ა" ღერძებში). შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები ("1-3" - "თ-ა" ღერძებში). ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე ("1-3" - "თ-ა" ღერძებში) და ცალკე მდგომი მიწისქვეშა სატუმბი სადგურის ნაგებობის მოწყობა.

სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლო. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლების მოწყობა უნდა განხორციელდეს. სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად. მიწის მოჭრის პარალელურად უნდა განხორციელდეს მიწის ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ობიექტიდან. ფუძის მოწყობა უნდა განხორციელდეს გეოლოგიური კვლევების და კონსტრუქციული პროექტის შესაბამისად, ამასთანავე საჭიროა მკაცრი გეოდეზიური კონტროლი. მოჭრილი/ამოღებული მიწა გატანილ უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან, აევე შესაძლებელია მისი ტერიტორიაზე დასაწყობება უკუჩაყრისათვის. ფუძის მოწყობის სამუშაოების დასრულების შემდეგ, საძირკვლის მოწყობის წინ ქვაბულებში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა. საძირკვლის ქვაბულების მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილი - მდინარის ბალასტის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი. მისი დატკეპნის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეთილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა სისქით 10 სმ. და მონოლითური რკინაბეტონის საძირკველი. პერიმეტრზე უნდა მოეწყოს მონოლითური რკინაბეტონის კედელი (გარე პერიმეტრზე დამცავი ჰიდროიზოლაციით+ჰიდროიიზოლაციის დამცავი ფენილით) ასევე დაბეტონდეს სვეტები. რკინაბეტონის კედლის და სვეტების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს კოჭების და იატაკის ფილის მოწყობა. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები. ბეტონის გაშრობა-გამყარების შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის და შემოტანილი ბალასტის უკუჩაყრა ქვაბულის ფერდობსა და კედელს შორის და მისი ფენობრივად დატკეპვნა.

X ეტაპი: მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები

სამშენებლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდება ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანების პროეტით გათვალისწინებული მცენარეების დარგვა.

მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმებზე დაყრდნობით, სამუშაოთა წარმოების სირთულისა და განაშენიანების ფართის სიდიდიდან გამომდინარე, ასევე ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით და ფინანსური პირობებიდან გამომდინარე, მშენებლობის ნორმატიულ ხანგრძლივობად მიღებულია 38 თვის პერიოდი

6. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.

მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი “მშენებლობის უსაფრთხოების წესები” (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დაგენილებით;)”; და ,,სნ და წ. 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ ნორმას.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, ზედაპირებზე ლაქის წასმისას და

ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.
საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.
ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013- 88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.
ამწე საწეველების; ელექტროსაწეველას და სხვა მანქანამექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.
უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ავტოამწის მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.
აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად

7. მომუშავეთა და ფეხმავალთა უსაფრთხოება მობილიური ამწის მუშაობის პერიოდში

უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. ამწის მუშაობის დროს დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტო ტრანსპორტის მოძრაობას.
ისრის ტრიალი მშენებარე შენობის გარეთ იზღუდება ნახაზზე მითითებულის ფარგლებში.

ტვირთის აწევა გადახურვამდე უნდა მოხდეს ავტოტრანსპორიდან შენობის ვერტიკალის გასწვრივ, შემდეგ გადახურვის თავზე გადავლებით სამუშაო ადგილამდე მიტანა, დაშვება და განტვირთვა.

იკრძალება ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება ქუჩის და სამეზობლო ნაკვეთების მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.

სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ სამარჯვებით

8. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური სასუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში

	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალ
№	2	3	4
1	ერთჩამჩიანი ექსკავატორი	სხვადასხვა	1
2	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადასხვა	5
3	სილრმითი ვიბრატორი	C–3698	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	C –697	1
5	გადასატანი კომპრესორი	CO–45	1
6	შესადუღებელი აბრეგატი	CO–48	1
7	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აბრეგატი	CO–89	1

8	მოგზაური ამწე საავტომოგზაო სვლაზე, სხვადასხვა მარკის, იცვლებიან საჭიროების მიხედვით	–	1
9	სამშენებლო საწევრა ტვირთამწეობით 320 კგ ტვირთის სიმაღლეზე აწევით 8,0 მ–მდე	1	1
10	ხნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ.	2

9. მშენებლობაზე შრომისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების დაცვა

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვის საშუალებებით.

ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცერებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას, პარკეტზე ლაქის წასმისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე. ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

სამშენებლო მოწყობილებათა ჩართვა (საწეველები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტრო- ქსელში აკრძალულია. თელასის ტექზედამხედველობის სამსახურ თან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგური დან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

მობილური ამწეების; ბეტონდამჭიხნი დანადგარების (,,პომპა’’), ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების

მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

10.ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწო ნილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

ზემოთ მითითებული დებულებებიდაფნ გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით

ა. ლომსაძე



ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, N 45 (ს/კ: 01.10.06.022.017)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

მშენებლობის წარმოების კალენდარული გრაფიკი

| რიგითობა | | ეტაპები | I თვე | | | | | | | | | | II თვე | | | | | | | | | | III თვე | | | | | | | | | | IV თვე | | | | | | | | | | V თვე | | | | | | | | | | VI თვე | | | | | | | | | | VII თვე | | | | | | | | | | VIII თვე | | | | | | | | | | IX თვე | | | | | | | | | | X თვე | | | | | | | | | | XI თვე | | | | | | | | | | XII თვე | | | | | | | | | | XIII თვე | | | | | | | | | | XIV თვე | | | | | | | | | | XV თვე | | | | | | | | | | XVI თვე | | | | | | | | | | XVII თვე | | | | | | | | | | XVIII თვე | | | | | | | | | | XIX თვე | | | | | | | | | | XX თვე | | | | | | | | | | XXI თვე | | | | | | | | | | XXII თვე | | | | | | | | | | XXIII თვე | | | | | | | | | | XXIVთვე | | | | | | | | | | XXV თვე | | | | | | | | | | XXVI თვე | | | | | | | | | | XXVII თვე | | | | | | | | | | XXVIII თვე | | | | | | | | | | XXIX თვე | | | | | | | | | | XXX თვე | | | | | | | | | | XXXI თვე | | | | | | | | | | XXXII თვე | | | | | | | | | | XXXIII თვე | | | | | | | | | | XXXIV თვე | | | | | | | | | | XXXV თვე | | | | | | | | | | XXXVI თვე | | | | | | | | | | XXXVII თვე | | | | | | | | | | XXXVIII თვე | | | | | | | | | |
|---|---|---

СЪДЪРЖАНИЕ

1 – ОБЩА ЧАСТ
2 – ЗАЩИТЕНА ЗОНА
3 – ЗАСТРОЯВАНЕ СЪС СГРАДИ ЗА ОБЩЕСТВЕНО ОБСЛУЖВАНЕ
4 – ТЕХНОЛОГИЧНА СХЕМА
5 – ОЗЕЛЕНЯВАНЕ
6 – ЕЛЕКТРОСНАБДЯВАНЕ
7 – ЗЕЛ. ВЪРТИКАЛНО ПЛАНИРАНЕ

ч.з.в

ВЪРТЕЖИ

ФОРМИРАНЕ ЗА ПЛОЩАДКА „1-3" ПО „Т-Ј" ПО „Т-Ј" ПО ПЛАНА ЗА ОЗЕЛЕНЯВАНЕ ВЪРТИКАЛНО ПЛАНИРАНЕ ЕЛЕКТРОСНАБДЯВАНЕ ВОДОСНАБДЯВАНЕ И КАНАЛИЗАЦИЯ ПЛАН ЗА ОРГАНИЗАЦИЯ НА ДВИЖЕНИЕТО ПО ВРЕМЕ НА СТРОИТЕЛСТВО.

ЗНАЧЕНИЯ НА ЛИНИИТЕ И ШРАФИРОВКИТЕ

- ГРАНИЦА НА ИМОТА
- ЗАСТРОИТЕЛНА ЛИНИЯ
- ГРАНИЦА НА ЗАСТРОЕНАТА ЗОНА
- ГРАНИЦА НА ЗАСТРОЕНАТА ЗОНА "ЗАПАЗЕНА"
- ГРАНИЦА НА ЗАСТРОЕНАТА ЗОНА ЗА ОТСТЪПЛЕНИЯ
- ГРАНИЦА НА ЗАСТРОЕНАТА ЗОНА ЗА ОТСТЪПЛЕНИЯ
- ЗАБЕЛ
- ГРАНИЦА НА ЗАСТРОЕНАТА ЗОНА ЗА ОТСТЪПЛЕНИЯ

ВЪЗЛОЖИТЕЛ			
ПРОЕКТАНТ			
ГЛ. ПРОЕКТАНТ	Х. ЗАХАРИЕВ		
ЗАМ.ГЛ.ПРОЕКТАНТ	.		
ЗАМ.ГЛ.ПРОЕКТАНТ	.		
ЗАМ.ГЛ.ПРОЕКТАНТ	.		
ЗАМ. ГЛ. ПРОЕКТАНТ	Х. ЗАХАРИЕВ		
ЗАМ. ГЛ. ПРОЕКТАНТ	Л. СТЕФАНОВ		
ОБЕКТ: ЖИЛИЩНА СГРАДА			
ФАЗА	ФАЗА ПЗ		
ЧАСТ	ЧАСТ ГЕНПЛАН		
ЧЕРТЕЖ	ЧЕРТЕЖ ГЕНПЛАН		
ЗАГЛАВИЕ	ГЕНПЛАН		
ЗАПОВЕД	ЗАПОВЕД		
ЗАПОВЕД	ЗАПОВЕД		
ЗАПОВЕД	ЗАПОВЕД